

განმარტებითი ბარათი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

კანონპროექტის შემუშავება გამოწვეულია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორის თანამდებობის დაკავებისათვის „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში არსებული შეზღუდვის მოხსნის მიზანშეწონილობით.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

კანონპროექტის მიზანია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორის თანამდებობის დასაკავებლად „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში არსებული შეზღუდვის მოხსნა და ამ თანამდებობის დაკავების საყოველთაობის უზრუნველყოფა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტი ითვალისწინებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორად და რექტორის მოვალეობის შემსრულებლად ნებისმიერი პირის არჩევის/დანიშვნის შესაძლებლობას.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებით ხარჯებს.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები იმ პირობათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

კანონპროექტი არ წარმოშობს ფინანსურ შედეგებს იმ პირობათვის, რომლებზეც ვრცელდება კანონპროექტი

ბ.ე) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადს, მოსაკრებელს ან სხვა სახის გადასახდელს

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონპროექტი არ იქონიებს გავლენას საქართველოს საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებზე.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში

კანონპროექტის შემუშავებაში სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაციას (დაწესებულებას), ექსპერტს მონაწილეობა არ მიუღია

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში

ექსპერტების დასკვნები არ არსებობს

დ.გ) კანონპროექტის ავტორი

კანონპროექტის ავტორია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი

საქართველოს მთავრობა